



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 37

„ 30 „ ი ა ნ ვ ა რ ი 2026 ♡

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის №188 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონი - „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის №26.121.145 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის №188 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №012523338-67 (№0125276206-67; №01253313689-67; №01253523235-67; №01260213993-67; №01260231214-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩვირდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 26.121.145 **29 / იანვარი / 2026 წ.**

„ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის N188 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 21 აგვისტოს N01252338-67 (N0125276206-67; N01253313689-67; N01253523235-67; N01260213993-67; N01260231214-67) განცხადებით მიმართა ელგუჯა გოროზიამ (პ/ნ 62003001025) და მოითხოვა „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის N188 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ; ილია ვეკუას ქუჩა N11გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.001.121; N01.11.13.001.122). საპროექტო ტერიტორიის ფართობია 26 378 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1); გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის N188 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის ბოლო კორექტირებული პროექტი დამტკიცებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის N279 განკარგულებით, შემდეგი საპროექტო პარამეტრებით:

N1 სექტორი - 26125 კვ.მ - სსზ-1, რზ-2, ტზ-1

კ1 - 0,3 - 8 000 კვ.მ.

კ2 - 3,5 - 92 599 კვ.მ 1-2, 8, 21, 30, 36 სართული

კ3 - 0,3 - 7 600 კვ.მ.

N2 სექტორი - 253 კვ.მ. - სპეცზ-1

ელექტრო ტრანსფორმატორი



კ1 = -

კ2 = -

კ-3 = 0,2 - 60 კვ.მ.

შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე- 36 სართული /126 მეტრი;

დადგენილი - 75% საცხოვრებელი, 25% საზოგადოებრივი ფუნქციის ნაცვლად, დადგინდა- 90%-საცხოვრებელი, 10%-საზოგადოებრივი ფუნქცია. პროცენტულობის ცვლილებასთან დაკავშირებით დაცულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების მე-16' მუხლის მოთხოვნები და განსაზღვრულ იქნა მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ოდენობის (1 411 კვ.მ.) შესაბამისი ფასის გადახდა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 24 მაისის N23.753.843 განკარგულება). აღნიშნულს არ ეხება ცვლილება წარმოდგენილი კორექტირებით.

N01252338-67 (N0125276206-67; N01253313689-67; N01253523235-67; N01260213993-67; N01260231214-67) განცხადებაზე წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი სახის ცვლილებები:

კომპლექსის შემადგენელ ერთ ბლოკში (F ბლოკი) მცირდება სართულიანობა - 21-დან 18 სართულამდე;

მცირედით იცვლება საპროექტო შენობა-ნაგებობების ადგილმდებარეობა და კონფიგურაცია;

ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის გამარტივებისთვის, ფართის შენარჩუნებით იცვლება არსებული სერვიტუტის კონფიგურაცია;

სექტორ N1-ში იზრდება კ-3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი და ხდება 8580 კვ.მ. (ნაცვლად 7600 კვ.მ.-სა).

საპროექტო პარამეტრები:

N1 სექტორი - 26125 კვ.მ - სსზ-1, რზ-2, ტზ-1

კ1 - 0,3 - 8 000 კვ.მ.

კ2 - 3,5 - 92 599 კვ.მ

კ3 - 0,3 - 8580 კვ.მ.

ფუნქციური გადანაწილება: 90%-საცხოვრებელი, 10%-საზოგადოებრივი ფუნქცია;

N2 სექტორი - 253 კვ.მ. - სპეცზ-1

ელექტრო ტრანსფორმატორი

კ1 = -

კ2 = -

კ-3 = 0,2 - 60 კვ.მ.

შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე- 36 სართული /126 მეტრი;

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა;

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2026 წლის 26 იანვრის N01260263569 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2026 წლის 26 იანვრის N01260261774 წერილის შესაბამისად, არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის N188 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე,

N01252338-67 (N0125276206-67; N01253313689-67; N01253523235-67; N01260213993-67; N01260231214-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის N188 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) გიორგი ტყემალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01260261774
თარიღი: 26/01/2026

2026 წლის 23 იანვრის N 01260231214-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ხეცძმარის ქუჩა N1_ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.11.13.001.121; 01.11.13.001.122) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შესწავლა წარმოდგენილი პროექტის ცვლილება და სატრანსპორტო დოკუმენტაცია. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე 2019 წლის 19 მარტის N 01190783711-67 განცხადების პასუხად N01191013182 წერილით. ასევე დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების ეტაპზე 2021 წლის 16 დეკემბრის N 01213503163-67 განცხადების პასუხად N 01213612440 წერილით.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ დაგეგმილი პროექტი არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, რაც არსებით უარყოფით ზეგავლენას მოახდენს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, შესაბამის თანხმობის წერილებთან ერთად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: **01260263569**
თარიღი: **26/01/2026**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 23 იანვრის №01260231214-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, გლდანში, ხევძმარის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ: 01.11.13.001.121, 01.11.13.001.122; არსებული/საპროექტო ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), სპეციალური ზონა 1) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი 28 ძირი (ს.კ:01.11.13.001.122 - №52, 53, 54, 67, 70, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 138, 139, 140; ს.კ:01.11.13.001.121 - №1, 2, 3, 4, 6, 7, 8, 9, 11) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11- 58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილკენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს წერილობით ნებართვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრა ან/და გადარგვას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და არცერთი მათგანის დიამეტრი არ აღემატება 12 სმ-ს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ფაუტი, ხმობადი, ავარიული ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას 25 ძირი (ს.კ:01.11.13.001.122 - №42, 73, 77, 78, 93, 96, 99, 100, 102, 117, 119, 120, 121, 122, 123, 125, 127, 129, 131, 132, 133, 141, 142, 143, 144) ზეხმელი, ხმობადი და გადაბერებული მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ასევე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი 14 ძირი (ს.კ:01.11.13.001.122 - №13, 14, 15, 16, 72, 75, 116, 62, 63, 118, 124, 126, 128, 130) ჯანსაღი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნებში აღწერილი 26 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვისა და გახარების შესაძლებლობა (ს.კ:01.11.13.001.122 - №3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 50, 51, 60, 61, 64, 86, 87, 88, 89, 90, 94, 95, 97, 98, 101, 103) დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადარგოს ზემოაღნიშნული 26 ძირი მწვანე ნარგავი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო

ნებართვის გაცემის შემდგომ.

აქვე გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (არსებული/გადასარგავი: 90 ძირი მწვანე ნარგავი და საპროექტოდ დასარგავი: ვერცხლისფერი ნაძვი - 33 ძირი; ცაცხვი - 62 ძირი; მუხა წითელი - 42 ძირი; ნეკერჩხალი ლეკა - 64 ძირი; იფანი გრძელფოთოლა - 43 ძირი; ძელქვა - 31 ძირი; ჯამში 365 ძირი მწვანე ნარგავი) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (8640 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 აგვისტოს №25.1358.534 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთანავე, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

გამოყენებულია კვალიფიკაციის
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი







განგებინების რეგულირების გეგმის ცვლილება


მიმის ნაპირზე განთავსებული ბინების განვითარების სივრცულუბანი და სარეგულირებო გეგმა

- 0 მონიტინგის უბანი
- 1 საპროექტო უბანი
- 2 საპროექტო უბანი
- 3 საპროექტო უბანი
- 4 საპროექტო უბანი
- 5 საპროექტო უბანი
- 6 საპროექტო უბანი
- 7 საპროექტო უბანი
- 8 საპროექტო უბანი
- 9 საპროექტო უბანი
- 10 საპროექტო უბანი

თარიღი: 01/15/26
ფურცელი: 20
ფურცელი: A-1



<p>გამსართლებელი</p> <p>შპს "ვაუსარბ ლიზინგი"</p> <p>საერთაშორისო კომპანია, საერთაშორისო რეგულირების, ვაუსარბ ლიზინგი, ქ. თბილისი, თბ. 2 22 00 88</p>	<p>თანამდებობა</p> <p>დ. გომიზაძე</p> <p>ბ. ლომიძე</p> <p>გ. ლომიძე</p> <p>6. ლომიძე</p>	<p>სახელი</p> <p>ს. ლომიძე</p> <p>ს. ლომიძე</p>	<p>დასაქმებული</p> <p>შ.პ.ს. „ინვესტიონალიზაციური გეგმა“</p> <p>საქმ. კოდი: 405660119</p> <p>საერთაშორისო კომპანია, საერთაშორისო რეგულირების, ვაუსარბ ლიზინგი, ქ. თბილისი, თბ. 2 22 00 88</p>	<p>პროექტის დასახელება</p> <p>სამსოვნელო უბანის რეგულირების გეგმა</p>	<p>ობიექტის მისამართი</p> <p>ქალაქი თბილისი, თბილისის რაიონი, ქ. თბილისი, თბ. 2 22 00 88</p>
--	---	--	--	--	---




განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება

ლაგამიკვეთი და კორექტირებადი ზონების შეფარება
ჰრიული 1-1; ჰრიული 2-2


თარიღი	29/11/25	მასშტაბი	1/750
ფურცელი	A-1	ფურცელი	201

0	შენიშვნა/პროკატორი
1	სახორავალი ფენები
2	საქარო უფეროეული სტრუქტურები
3	საქარო უფეროეული სტრუქტურები
4	საქარო უფეროეული სტრუქტურები
5	საქარო უფეროეული სტრუქტურები
6	საქარო უფეროეული სტრუქტურები
7	საქარო უფეროეული სტრუქტურები
8	საქარო უფეროეული სტრუქტურები
9	საქარო უფეროეული სტრუქტურები
10	საქარო უფეროეული სტრუქტურები


აორეკტირებადი ზონების შეფარება




აორეკტირებადი ზონების შეფარება



ჰრიული ღამბიკვეთი გრ-ს მიხედვით



ჰრიული ღამბიკვეთი გრ-ს მიხედვით



შენიშვნა	შენიშვნა	შენიშვნა	შენიშვნა
შპს "პანსელ-დინამიკი"	თანამშრომლობა	მვანი, სახელი	ხელმოწერა
საპროექტო კომპლექსი, საპროექტო რაიონი, ვაჟა ფშაველას ქ. კვარტალი 118, ტელ: 2 22 00 88	დირექტორი	დ. გომიკიშვილი	
	მთავარი არქიტექტორი	ბ. ბაქალავაძე	
	არქიტექტორი	მ. ლომიძე	
	არქიტექტორი	ნ. ბაქალავაძე	
	დაამუშავა	მ. ლომიძე	
	დაამუშავა	ნ. ბაქალავაძე	
	შპს "პანსელ-დინამიკი"	საპროექტო კომპლექსი, საპროექტო რაიონი, ვაჟა ფშაველას ქ. კვარტალი 118, ტელ: 2 22 00 88	
	სახორავალი ღამბიკვეთი	სახორავალი ღამბიკვეთი, კვარტალი 118	
	სახორავალი ღამბიკვეთი	სახორავალი ღამბიკვეთი, კვარტალი 118	
	სახორავალი ღამბიკვეთი	სახორავალი ღამბიკვეთი, კვარტალი 118	
	სახორავალი ღამბიკვეთი	სახორავალი ღამბიკვეთი, კვარტალი 118	

